

თპუ ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის და ჯანდაცვის ფაკულტეტების
ერთობლივი საბჭოს სხდომის ოქმი №11

თბილისი

07 სექტემბერი 2011 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის სრული პროფესორი ოლეგ ეჯიბაძე, სრული პროფ. მადონა გელაშვილი, ასოცირებული პროფესორი ამალია არუთინოვა, ასოცირებული პროფესორი ნინო ქეცბაია, ასისტენტ-პროფესორი დიმიტრი სუკიასიანი.

ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძე, სრული პროფ. ნინო ორმოცაძე, სრული პროფ. მარიკა კუმლაშვილი, სრული პროფ. ტატიანა ზუბიაშვილი.

სტუდენტები: ქეთევან ელკანიშვილი, ლერი გოგოლაძე, თეონა ჯიქია, მეგი ბირვაძე, ანტონ სისოევი.

სხდომის თავმჯდომარე: ასოც. პროფესორი ილონა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: ლია ოზგაიძე

დღის წესრიგი:

თპუ ეკონომიკის, ბიზნესის და მართვის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის, ალექსეი შამათავას, შიდადამოხმობის წესით 2011-2012 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრიდან ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან პროგრამაზე გადმოსვლის საკითხი.

მოისმინეს:

1. თპუ ეკონომიკის, ბიზნესის და მართვის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ოლეგ ეჯიბაძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ეკონომიკის, ბიზნესის და მართვის ფაკულტეტის სტუდენტს ალექსეი შამათავას (ჩარიცხვის ბრძ. №49.05, 19.08.2011წ.) სურს სპეციალობის შეცვლა და პირადი განცხადების საფუძველზე გადასვლა ჯანდაცვის ფაკულტეტზე დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან პროგრამაზე.
2. ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ილონა საყვარელიძის ინფორმაცია, 2011-2012 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრიდან ალექსეი შამათავას დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტად დარეგისტრირების თაობაზე.

აზრი გამოთქვას: პროფესორმა ნ. ორმოცაძემ, პროფ. ტ. ზუბიაშვილმა, პროფ. მ. გელაშვილმა.

ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის და ჯანდაცვის ფაკულტეტების ერთობლივმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. დარეგისტრირდეს ალექსეი შამათავა თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამის პირველი სემესტრის სტუდენტად 0 (ECTS) კრედიტის აღიარებით;
2. ეთხოვოს თპუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:

ი. საყვარელიძე

სხდომის მდივანი:

ლ. ოზგაიძე